თავი 2 ლექსიკონი

2 ტერმინოლოგია და აბრევიატურები

ტერმინი	განსაზღვრება
°C	გრადუსი ცელსიუსი
მიწისზედა ძეგლი	ნაგებობა, შენობა ან სკულპტურა, რომელიც მემორიალური დანიშნულებით არის აგებული. საფლავზე განთავსებული ნიშანი ამოკვეთილი წარწერით, საფლავის ქვა, სხვა რელიგიური საგნები, მაგალითად, ქვაჯვარი და ასე შემდეგ. ის, რაც ფასეულია მისი ხანგრძლივი ისტორიული მნიშვნელობის გამო, ან დაკავშირებულია წარსულის ღირსშესანიშნავ პიროვნებასთან ან საგანთან. მიწისზედა შენობა, ნაგებობა ან ქმნილება, რომელიც არქეოლოგიური, ისტორიული ან მხატვრული ინტერესის საგანს წარმოადგენს.
აკაროზი (მუნი)	გამონაყარი, რომელსაც იწვევს ადამიანის მიკროსკოპული ტკიპა (*Sarcoptes scabiei* var. *hominis*). ხალხმრავალი საცხოვრებელი პირობები, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხეულისა და კანის ხშირი კონტაქტი, ზრდის მუნის რისკს; გარდა ამისა, რისკი მომატებულია მუნის ხშირი შემთხვევების გამოვლენის ადგილებში, იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ყოველდღიურ ახლო კონტაქტს ადგილობრივ მოსახლეობასთან
მისასვლელი გზა	მისასვლელი გზა წარმოადგენს ნებისმიერ განსაზღვრულ მარშრუტს, რომელსაც გამოიყენებენ ოპერატორი და/ან კონტრაქტორები მშენებლობის და/ან ექსპლუატაციის ფაზების მსვლელობისას, მოსამზადებელი სამუშაოებისათვის, მილების ჩასაწყობად, მილსადენის ექსპლუატაციის და/ან ტექმომსახურებისათვის. მისასვლელ გზებზე: • რეგულარულად არ მოძრაობს მძიმე სამშენებლო ან სარემონტო ტექნიკა ან • გზები საჭიროებს გაფართოებას და/ან მოპირკეთებას ზოგიერთ მონაკვეთზე ან მთელ სიგრძეზე, ვიდრე მოხდება ამ გზებით სარგებლობა მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული საქმიანობის პროცესში. მისასვლელი გზები, როგორც წესი, იწყება მთავარ გზებთან მათი შეერთების ადგილიდან; აღნიშნული მთავარი გზები არ უნდა აკმაყოფილებდნენ ზემოთ ჩამოთვლილ მახასიათბლებს
ACT-ის კვლევა	ACT (ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი), არის ქართული კომპანია, რომელიც ახორციელებს სოციალურ კვლევებსა და საკონსულტაციო მომსახურებას
დამატებითი მიწა	პროექტის დამტკიცებული სამუშაო ტერიტორიისა და პროექტის მიერ მშენებლობის დროებითი საჭიროებისათვის ან მუდმივი ობიექტებისათვის გამოყენებული ფართობების გარეთ არსებული მიწა
AGI	მიწისზედა ობიექტი - წინამდებარე ESIA-ს კონტექსტში მიწის ზევით მდებარე ინფრასტრუქტურაში იგულისხმება ჩამკეტი სარქველები და დგუშის სადგური (ასევე მოხსენიებულია როგორც ინფრასტრუქტურა)

ტერმინი	განსაზღვრება
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობები/მიწა	ტერიტორია, რომელიც გამოყენებულია სასოფლო–სამეურნეო კულტურების მოსაყვანად კომერციული მიზნებისთვის (დროებით გამოუყენებელი ფართობების ჩათვლით); არ მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც მხოლოდ საძოვრებად გამოიყენება
არქეოლოგიური ობიექტი	ადგილი (ან ადგილთა ჯგუფი), რომელზეც შემონახულია წარსული ყოფის (წინაისტორიული, ისტორიული ან თანამედროვე ეპოქების) დამადასტურებელი ნაშთები და რომელიც შეიძლება გამოკვლეულ იქნეს არქეოლოგიური მეთოდების გამოყენებით და არქეოლოგიური ისტორიის ნაწილს წარმოადგენს. არქეოლოგიური ობიექტი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მიწისქვეშა ისტორიული მასალის სახით, რომელიც მოიცავს ზედაპირულ და ზედაპირთან ახლოს მდებარე ფენებში დაცულ არტეფაქტებს და მათთან დაკავშირებულ, სივრცულად და სტრატიგრაფიულად გავრცელებულ სხვა მასალებს, რომლებიც მათი შემქმნელი წარსული კულტურების არსებობის მეცნიერულ მტკიცებულებას წარმოადგენს.
არქიტექტურული ობიექტები	მიწისზედა არქიტექტურული ნაგებობა და მიმდებარე ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, მათ შორის, ციხე–სიმაგრეები, მავზოლეუმები, ეკლესიები, კედლები, ხიდები და სხვა მსგავსი ნაგებობები, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც კარგად შემონახული ნაგებობის ან შენობა–ნაგებობათა კომპლექსის სახით, ისე ისტორიული შენობის ნანგრევების სახით.
AGT	აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი
ALARP	პრაქტიკულად მიღწევადი უმცირესი მაჩვენებელი
AMs	საჰაერო ნიშნულები
amsl	სიმაღლე ზღვის საშუალო დონიდან
ჯილეხი	ინფექციური დაავადება, რომლის გამომწვევია სპოროვანი ბაქტერია *Bacillus anthracis*. ჯილეხი ყველაზე ხშირად გვხვდება გარეულ და შინაურ ძუძუმწოვრებში (ძროხები, ცხვრები, თხები, აქლემები, ანტილოპები და სხვა ბალახისმჭამელები), თუმცა შესაძლებელია ადამიანების დაავადებაც, თუ ისინი კონტაქტში არიან დაავადებულ ცხოველებთან ან ინფიცირებული ცხოველების ქსოვილთან
API	ამერიკის ნავთობის ინსტიტუტი
სახნავი მიწა	მიწა, რომელიც გამოიყენება სასოფლო–სამეურნეო კულტურების მოსაყვანად
ARs	მისასვლელი გზები
ASME	ინჟინერ–მექანიკოსთა ამერიკული საზოგადოება
ATS	ღონისძიებების მონიტორინგის სისტემა

ტერმინი	განსაზღვრება
შნეკური ბურღვა	საბურღი მოწყობილობა ან ბურღი, რომელიც როგორც წესი შეიცავს მბრუნავი ხრახნის პირს, რომელიც მოქმედებს როგორც ხრახნის კონვეიერი ბურღვის შედეგად წარმოქმნილი მასალის მოსაცილებლად. გაბურღული ხვრელიდან მასალის ამოღება ხდება ხრახნის პირის ბრუნვის შედეგად
ავულსია	მდინარის ძველი არხის მიტოვება და ახალი არხის შექმნა
შევსება	მილის თხრილში ჩადების შემდეგ თხრილის ნიადაგით შევსების პროცესი. ნიადაგის დაბრუნება თხრილში ხდება შებრუნებული წესით, ჯერ იყრება ნიადაგის ქვედა ფენა, შემდეგ ზედა ფენა. ამით უზრუნველყოფილია ნიადაგის ზედა ფენის თავის ადგილას დაბრუნება
ბარი	მანომეტრული წნევის საზომი ერთეული
BAT	საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგია
bcma	მილიარდი კუბური მეტრი წლიურად
ბენტონიტი	მინერალური თიხა, რომელიც გამოიყენება საბუღი ხსნარის სახით, მიწის დონის ქვევით ბურღვის/გახვრეტის პროცესის გასაადვილებლად
bgl	მიწის დონის ქვევით
ბიოაღდგენა	ბიოაღდგენა გულისხმობს ფლორისა და ფაუნის სახეობების აღდგენას და მცენარეული საფარის შექმნას (შეთესვის შემდგომ), რათა მცენარეული საფარი და სახეობრივი მრავალფეროვნება შესაბამისობაში იყოს პროექტის გრძელვადიან მიზნებთან
ბიოტური/აბიოტური	ცოცხალი ორგანიზმები/არაცოცხალი ბუნების კომპონენტები
შავი წყალი	ჩამდინარე წყალი, რომელიც შეიცავს ადამიანურ ან ცხოველურ ნარჩენებს ე.წ. საკანალიზაციო წყალი
BOD	ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება
BP	BP შეზღუდული პასუხისმგებლობის ღია სააქციო საზოგადოება (BP plc)
BPGA	BP საქართველო არქეოლოგია
BP Cirrus	პროგრამული უზრუნველყოფა გაზის გაჟონვის შედეგების მოდელირებისთვის
BP GDP	BP ჯგუფის სტანდარტები (BP-ის შიდა მართვის სისტემის დოკუმენტები)
bpd	ბარელი დღეში
BPEO	გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკულად განხორციელებადი ვარიანტი
არსებული რეკონსტრუირებადი ობიექტი	სამშენებლო საქმიანობის პოტენციალის მქონე ურბანული ტერიტორია, რომელზედაც წარსულში არსებობდა პროექტის ობიექტები

ტერმინი	განსაზღვრება
ბრუცელოზი	ინფექციური დაავადება, რომლის გამომწვევია *Brucella*-ს გვარის ბაქტერიები. აღნიშნული ბაქტერიები უპირატესად ცხოველიდან ცხოველზე გადადიან და იწვევენ ბევრი სხვადასხვა ხერხემლიანი ცხოველის ინფიცირებას. ადამიანები ავადდებიან ამ ბაქტერიებით დაბინძურებულ ცხოველებთან ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან კონტაქტის შედეგად
BSI	ბრიტანეთის სტანდარტების ინსტიტუტი
BTC	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი
BTC ESIA	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ESIA), პასუხები ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში მიღებულ შენიშვნებზე, ტომი I და ტომი II, სექტემბერი, 2002; დამტკიცებულია 2002 წლის ნოემბერში
BTEX	ბენზოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი და ქსილოლები
შეკავება	შეკავება, იგივე შემაკავებელი კედელი, შემოსაზღვრავს ტერიტორიას ნაგებობის შიგნით და იცავს ამ ტერიტორიას დატბორვისგან ან დაზიანებისგან. ძირითადად გამოიყენება მავნე და საშიში თხევადი ქიმიური ნივთიერებების კონტეინერების შემთხვევაში, გაჟონვის შესაკავებლად
BV	ჩამკეტი სარქველი: სარქველი აჩერებს მილსადენში გამდინარე მასალას და ახდენს მილსადენის სისტემის სეგმენტის ან სისტემის კომპონენტის იზოლირებას.
BVS	ჩამკეტი სარქვლის უბნები
კირქვიანი ნიადაგები	ნიადაგები, რომლებიც შედგება, შეიცავს ან რომელთათვისაც დამახასიათებელია კალციუმის კარბონატი, კალციუმი ან კირქვები
ბანაკი	სამშენებლო ბანაკი; მიზნობრივად აგებული უბანი, რომელიც შეიცავს საცხოვრებელს, რეკრეაციულ ობიექტებს და კეთილმოწყობილია პროექტის სამშენებლო მუშახელისთვის
კანცეროგენური	ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა ჩასუნთქვა, მიღება ან კანში შეღწევა იწვევს კიბოს, ან ზრდის კიბოთი დაავადების რისკს
CARs	გამოსასწორებელი ღონისძიების გატარების მოთხოვნები
კათოდური დაცვა	მეთოდი, რომელიც გამოიყენება ლითონის ზედაპირის კოროზიის კონტროლისთვის, ამ ზედაპირის ელექტროქიმიური ელემენტის კათოდად ქცევით
CB&I	კომპანია Chicago Bridge and Iron
CBO	სათემო ორგანიზაცია; ორგანიზაცია დაფუძნებულია მხოლოდ ერთ ან მეტ დასახლებულ პუნქტში, რომლის მიზანი არის ამ დასახლებული პუნქტის ზოგიერთი ან ყველა წევრის ინტერესებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა. ‘ადგილობრივი ასოციაციის’ მსგავსია
CDI	ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა
CH	კულტურული მემკვიდრეობა
CH_4	მეთანი

ტერმინი	განსაზღვრება
CITES	„კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“
CLO	საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
სმ	სანტიმეტრი
სმ^3	კუბური სანტიმეტრი
CO	ნახშირჟანგი
CO_2	ნახშირორჟანგი
CO_{2eq}	ნახშირორჟანგის ექვივალენტი: წინამდებარე ESIA-ს შემთხვევაში ნახშირორჟანგის ექვივალენტი არის ნახშირორჟანგის და მეთანის ჯამური ემისიები გამოსახული CO_2-ის ტონებში, იმის დაშვებით, რომ მეთანს აქვს 25-ის ტოლი გლობალური დათბობის პოტენციალი (კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მეოთხე შეფასების ანგარიში, 2007)
COD	ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნა
კოლხური (მცენარეები)	მცენარეები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში არსებულ უძველეს კოლხეთთან არიან ასოციირებული
დასახლება	ESIA–სთვის დასახლება წარმოადგენს ადამიანების, ჯგუფების და შინამეურნეობების ერთიანობას, რომლებიც მუდმივად, დროებით ან პერიოდულად ცხოვრობენ ერთად, შედარებით ახლოს ერთმანეთთან, დასახლებაში, რომელიც შედგება სულ მცირე ხუთი საცხოვრებლისგან, როგორიცაა სახლი და სხვა შენობები, რომლებიც მუდმივი მაცხოვრებლების და სხვა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ განიხილება, როგორც გარკვეული ადმინისტრაციული ან სოციალურ–პოლიტიკურ ერთეული
კომპანია	სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანია
შეზღუდვა	უბნის მდგომარეობა (სოციალური, გეოგრაფიული ან ბუნებრივი გარემო), რომელზეც პროექტის საქმიანობამ შესაძლოა მოახდინოს შედარებით ძლიერი ზემოქმედება. უნდა მოხდეს შეზღუდვების მქონე ადგილების გვერდის ავლა ან შემარბილებელი ღონისძიებების გატარება
კონსულტაცია	ESIA–ს მომზადების პროცესში საერთო ინტერესების შესახებ ინფორმაციის, შეხედულებების და აზრების ორმხრივი გაცვლა
დამაბინძურებელი	პოტენციურად მომწამვლელი, დამაბინძურებელი ან სხვა სახის მავნე ნივთიერება
დაბინძურებული მიწა	მიწა, რომელიც დაბინძურებული იქნა პოტენციურად დამაბინძურებელი ნივთიერებებით
დაბინძურებული ნიადაგი	ნიადაგი, რომელიც დაბინძურებული იქნა პოტენციურად დამაბინძურებელი ნივთიერებებით
კონტურის ფორმირება	მიწის ზედაპირის ლანდშაფტური პროექტირება ფერდობების მოწყობის მიზნით

ტერმინი	განსაზღვრება
კონტრაქტორი	ყველა სამშენებლო კონტრაქტორი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადრეული სამუშაოების ჩატარებასა და ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, მილსადენის დამონტაჟებაზე, სპეციალური გადაკვეთების და მისასვლელი გზების მშენებლობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ერთ–ერთი მხარე კონკრეტულად არის დასახელებული და როგორც ეს განსაზღვრულია კონტრაქტის პირველ თავში - კონტრაქტორის პირობები
დერეფანი	დერეფანი (ან მარშრუტის დერეფანი) არის მიწის ის ზოლი, რომელშიც გაივლის მილსადენი
COSHH	ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებების კონტროლი
CPI	სამომხმარებლო ფასების ინდექსი
„აკვნიდან სამარემდე“	პრინციპი, რომელიც გულისხმობს ნარჩენების მართვის პასუხიმგებლობას მათი წარმოქმნის ადგილიდან (პირობითად „აკვანი“) საბოლოო განთავსების პუნქტამდე (პირობითად „სამარე“)
CSG	საკომპრესორო სადგური (საქართველო)
კულტურული მემკვიდრეობა	ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი და თაობიდან თაობაზე გადაცემული ყოფის გამოხატულება, მათ შორის, ტრადიციები, ჩვეულებები, ადგილები, საგნები, მხატვრული შემოქმედება და ღირებულებები. კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური. კულტურული მემკვიდრეობა არის ცალკეულ ჯგუფთან ან საზოგადოებასთან დაკავშირებული მატერიალური არტეფაქტები და არამატერიალური ფასეულობები, რომლებიც წინაპრებისგან მემკვიდრეობით არის მიღებული, აწმყოში არის შემონახული და მომავალი თაობებისთვის გადასაცემად არის განკუთვნილი.
კუმულაციური (ზემოქმედება)	ზემოქმედება, რომელიც მოქმედებს სხვა ზემოქმედებებთან ერთად და გავლენას ახდენს ბუნებრივი ან სოციალური გარემოს ერთი და იგივე რესურსზე ან რეცეპტორზე
CVDs	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები
კობრისებრნი (თევზი)	რბილ ფარფლიანი თევზი, რომელიც ძირითადად ბინადრობს მტკნარ წყლებში, აქვს ყბები კბილების გარეშე და ციკლოიდური ქერცლი
dB	დეციბელი
dB(A)	ერთეული, რომელიც გამოიყენება A-შეწონილი დეციბელის სკალის გასაზომად და ახდენს ადამიანის ყურის გარკვეული სენსიტიურობების კომპენსირებას (ჩვეულებრივ, არასელექტიურ მიკროფონთან შედარებით)
DBH	დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე (ხე–მცენარის)

ტერმინი	განსაზღვრება
დეციბელი	ბგერის ინტენსივობის საზომი ერთეული. კერძოდ, ეს საზომი განისაზღვრება როგორც ბგერის წნევის ლოგარითმული თანაფარდობა საწყის დონესთან - 20 მიკრო-ნიუტონი კვადრატულ მეტრზე
საპროექტო კოეფიციენტი	კოეფიციენტი, რომელიც გამოიყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მილსადენის საპროექტო დატვირთვა ან სიმძლავრე შენარჩუნებული იყოს იმ მაქსიმალური ნიშნულის ქვევით, რომლის გაძლებაც შეუძლია მილსადენის სისტემის კომპონენტს ან სტრუქტურას მწყობრიდან გამოსვლის გარეშე
კონდენსირების ტემპერატურა	ტემპერატურის ნიშნული, რომლის ქვევითაც წყლის ორქლი ნოტიო აირის მასის სახით მუდმივი ატმოსფერული წნევის პირობებში კონდენსირდება თხევად წყლად
მიმართული ბურღვა	იხილეთ 'მიმართული ჰორიზონტალური ბურღვის მეთოდის' განმარტება
დიაბეტი	ნივთიერებათა ცვლის მოშლის დაავადებათა ჯგუფი, რომელიც ვლინდება ადამიანის სისხლში შაქრის შემცველობის მომატებით, იმის გამო, რომ ორგანიზმი არ გამოიმუშავებს ინსულინის საკმარის რაოდენობას, ან უჯრედები არ რეაგირებენ გამომუშავებულ ინსულინზე
პირდაპირი ემისიები	პროექტის ოპერაციებით გამოწვეული ფიზიკური ემისიები
საბურღი ხსნარი/ბურღვის ნარჩენები	სითხე, რომელიც გამოიყენება და ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ბურღვის და ტუნელირების დროს
მძღოლი	გულისხმობს მგზავრების გადასაყვანი სატრანსპორტო საშუალებების, საქონლის გადასატანი სატრანსპორტო საშუალებების, რელსებზე მოძრავი ან ბორბლებიანი დანადგარების და მანქანა-მოწყობილობების მძღოლებს
DLE	დაბალი მშრალი ემისიები
DLN	NO_x-ის მშრალი მეთოდით შემცირების ტექნოლოგია (DLN–ტექნოლოგია)
DO	გახსნილი ჟანგბადი
დომინის სკალა	კ. დომინის მიერ შემუშავებული სისტემა მცენარეთა თანასაზოგადოებაში სახეობათა დაფარულობის აღსაწერად
DPI	ფერადი დეფექტოსკოპია: მილსადენში ზედაპირის დეფექტის ადგილების განსაზღვრის მეთოდი. ზედაპირს ღებავენ და შემდეგ წმენდენ. საღებავი რჩება ნაპრალებში, რაც ხდის მათ თვალსაჩინოს და ადვილად აღმოჩენადს.
კომპლექსური ექსპერტიზა	ექსპერტიზა, რომელიც ტარდება უბანზე პროექტის განხორციელებამდე არსებული ვალდებულებების, მაგ., ნიადაგის დაბინძურების, აღმოსაჩენად
მასალა ტვირთის კომპაქტურად ჩაწყობისთვის	მასალა, რომელსაც იყენებენ ტრანსპორტირების დროს ტვირთის დაცვისა და უსაფრთხოებისთვის
სიფრთხილის ვალდებულება	პრინციპი, რომლის მიხედვით ნარჩენების წარმომქნელი ვალდებულია უზრუნველყოს ნარჩენების სათანადო მართვა მას შემდეგაც კი, რაც ნარჩენები გადაეცემა მესამე მხარეს
შპს „ძელქვა“	ქართული გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია

ტერმინი	განსაზღვრება
E-3	მაჩვენებლიანი ფორმულა, მაგ. 7 E-3 = 0.007
E&S	ბუნებრივი და სოციალური
E&S GDP	BP-ს გარემოსდაცვითი და სოციალური ჯგუფის მიერ განსაზღვრული პრაქტიკა
EAL	ეკოლოგიურად მისაღები ლიმიტი
ექინოკოკოზი	პარაზიტული დაავადება, რომელსაც იწვევს *Echinococcus*-ის გვარის ლენტისებრი პარაზიტი.
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	გარკვეულ ასაკს გადაცილებული ორივე სქესის ყველა ადამიანი, რომელიც დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახდენს სამუშაო ძალის მიწოდებას პროდუქტიული საქმიანობის შესრულებისთვის. ტერმინი მოიცავს ყველა ადამიანს, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს დასაქმებულთა (დაქირავებულები ან თვითდასაქმებულები) ან უმუშევართა რიცხვში ჩასართავად
ექტოპარაზიტები	პარაზიტები, რომლებიც ცხოვრობენ კანზე ან ემაგრებიან თმების ფოლიკულებს
EGA	Environmental Geology Agency (გარემოს გეოლოგიური სააგენტო)
EGIG	გაზსადენების ინციდენტთა მონაცემების ევროპული ჯგუფი
EHA	ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს უბანი
EHRA	ეკოლოგიური საფრთხის და რისკის შეფასება
EHS	გარემოს დაცვა, ჯანდაცვა და უსაფრთხოება
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EIP	გარემოზე ზემოქმედების ნებართვები
ენდემური	ეპიდემიოლოგიაში ინფექცია მიჩნეული ენდემურად მოსახლეობისათვის, თუ იგი შენარჩუნებულია ამ მოსახლეობაში გარედან ჩაურევლად. ეკოლოგიაში იგი აღნიშნავს კონკრეტული სახეობას შეზღუდულ სივრცეში.
ჩართულობა	ტერმინი აღწერს სისტემას და პროცესებს, რომელთა გამოყენებითაც პროექტის ინიციატორი /ოპერატორი რეგულარულ ურთიერთობას ინარჩუნებს დაინტერესებულ მხარეებთან
გარემოსდაცვითი სტრატეგიის პროდუქტი	სამუშაოთა მოცულობის შესწავლა, რისკის შეფასება, ფონური მდგომარეობის შესწავლა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, როგორც იგი განმარტებულია HGA-ში
ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასება	შიდა შეფასება (ESIA მეთოდოლოგიის მიხედვით), რომლის მიზანია საპროექტო შეთავაზების პოტენციური ზემოქმედებების გამოვლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების განხილვა. შეფასების მოცულობა და მასშტაბი საპროექტო შეთავაზებისა და იდენტიფიცირებული პოტენციური ზემოქმედებების გავრცელების არისა და მასშტაბის შესაბამისია

ტერმინი	განსაზღვრება
ეფემერი	მცენარე სწრაფი სასიცოცხლო ციკლით
ეფემერული (წყალსატევი)	წყლის ობიექტი, რომელიც არსებობს მხოლოდ მცირე დროის მანძილზე
ეფემეროიდი	მცენარეები მიწისქვეშა სამარაგო ორგანოებით
ეპიდემია	ინფექციური დაავადების სწრაფი გავრცელება მოსახლეობაში დროის გარკვეულ მონაკვეთში
ეროზიის კლასი	ნიადაგის პოტენციური ეროზიის სიმძიმის კატეგორიზაცია
ERMP	შრომითი ურთიერთობების მართვის გეგმა
ERP	საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა
ESB	ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობა
ESBR	ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიში
ESD	ავარიული გამორთვა
ESBR 2012	SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშისთვის მომზადებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიში
ESBR დამატება	საქართველოში შემოთავაზებული SCPX მილსადენის დამატებითი მონაკვეთებისთვის მომზადებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიში
ESD	ავარიული გამორთვა
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESIA-ს დამატება	SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის დამატება მომზადდა SCPX მილსადენის დიამეტრის 56''-დან 48''-მდე შემცირებით და ასევე სხვა ცვლილებით (კოლექტიური სახელწოდებით - საინჟინრო პროექტის განახლებები) გამოწვეული ზემოქმედებების შესაფასებლად. დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის საჯარო განხილვა განხორციელდა 2014 წლის აპრილში. ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი მომზადდა შემოთავაზებული SCPX მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის მარშრუტის მცირე ცვლილებების შესაფასებლად. წინამდებარე დოკუმენტში ტერმინი 'ESIA-ს დამატება' გამოიყენება მაშინ, როცა საუბარია დამატების, როგორც თავდაპირველ ისე შესწორებულ ვარიანტზე ან მაშინ, როცა ამ დოკუმენტის ორი პროექტის ერთანეთისგან განსხვავება არ არის საჭირო. როდესაც დოკუმენტებს შორის განსხვავების მითითება აუცილებელია, გამოიყენება შემდეგი ორი ტერმინი: 'ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი' და 'ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი'.
ESMMP	ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმა
ESMP	ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმა
ESMS	ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემა

ტერმინი	განსაზღვრება
ამოთხრა	ნებისმიერი ოპერაცია, რომელიც მოიცავს მიწის, ქანების ან სხვა მასალების გადაადგილებას მიწის ზედაპირის არსებული დონის ქვევით. ამოთხრა შეიძლება გულისხმობდეს მიწის თხრას, ბურღვას, ტუნელირებას და შევსებას
ფეთქებადი ნივთიერება	ნივთიერებები და ნაერთები, რომლებიც შესაძლოა აფეთქდნენ ცეცხლის ზემოქმედებით ან დინიტრობენზოლთან შედარებით უფრო მგრძნობიარეები არიან დარტყმის ან ხახუნის მიმართ
ინფრასტრუქტურები	ESIA-ის კონტექსტის მიხედვით, ინფრასტრუქტურები მოიცავს საკომპრესორო სადგურს 1, საკომპრესორი სადგურს 2 და წნევის მარეგულირებელ და გამზომ სადგურს (ასევე მიწისზედა ინფრასტრუქტურებს)
FAO	საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
ფაუნა	ამა თუ იმ რეგიონის ან პერიოდის ყველა ცოცხალი ცხოველი
FBE	მილღობილი ეპოქსიდური საფარი: ფხვნილოვანი საღებავის საფუძველზე დამზადებული თერმორეაქტიული პოლიმერის ეპოქსიდური საფარი, როელიც გამოიყენება მილსადენის დასაცავად
FBR	მილსადენის გახეთქვა (მთელ დიამეტრზე) - მილსადენის სრულად გამოსვლა მწყობრიდან მექანიკურად, რაც მილსადენის გახეთქვას იწვევს
FEED	საწყისი ტექნიკური პროექტირება
FFD	საბადოს სრული ათვისება
FFREQ	გაზის ინდუსტრიის ავარიის სიხშირის პროგნოზირების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი აირის მილსადენის მესამე მხარის მიერ დაზიანებით გამოწვეული ავარიის რისკის შესაფასებლად
აალებადი	თხევადი ნივთიერებები და ნაერთები, რომელთა აალებას ადგილი აქვს 21^{0}C-დან 55^{0}C-მდე ტრემპერატურაზე
ფლორა	ამა თუ იმ რეგიონის ან პერიოდის ყველა ცოცხალი მცენარე
ხელოვნური არხი	წყლის ნაკადის მილში მიმართვა
FOC	ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელი: კაბელი, რომელიც შედგება ოპტიკური ბოჭკოებისგან და გამოიყენება ციფრული ინფორმაციის გადასაცემად
კერა	გადამდები დაავადებების წარმოშობის ზონა ან ცენტრი
ფიზიკური კვალი	მიწის მთლიანი სავარაუდო ფიზიკური ფართობი, რომელიც საჭიროა პროექტისთვის ან პროექტის კომპონენტისთვის, როგორიცაა დგუშის სადგურის უბანი
გაფანტული მტვერი	ნებისმიერი წყაროდან (საკვამურის გარდა) გამოფრქვეული, ჰაერში გაბნეული მყარი ნაწილაკები
მილის სრული გახეთქვა	მილსადენის სტრუქტურის მთლიანად მწყობრიდან გამოსვლა, რომელიც იწვევს მილის გახეთქვას. გახეთქვა არის დეფექტის ისეთი მასშტაბური გავრცელება ან ზრდა, რომელიც მილს გახდის უვარგისს ექსპლუატაციისთვის
გ/ლ	გრამები ყოველ ლიტრში

ტერმინი	განსაზღვრება
გაბიონი	ქვებით სავსე მავთულის ბადეები; გამოიყენება მდინარის ნაპირების გასამაგრებლად
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი – ქვეყანაში, დროის გარკვეულ პერიოდში წარმოებული საბოლოო საქონლის და მომსახურების საბაზრო ღირებულების საზომი. მშპ ერთ სულ მოსახლეზე ხშირად განიხილება, როგორც ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონის მაჩვენებელი
GEL	ქართული ლარი (საქართველოს ვალუტა)
GHG	სათბურის აირები (გამოხატული როგორც CO_{2eq})
Giardia	მიკროსკოპული პარაზიტი, რომელიც იწვევს დიარეას
GIS	გეოინფორმაციული სისტემა: ინფორმაციის სისტემა, რომელიც აერთიანებს, ინახავს, ამატებს, ცვლილებები შეაქვს, აანალიზებს, ავრცელებს და წარმოაჩენს გეოგრაფიულ ინფორმაციას, გადაწყვეტილებების მიღების ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით
GLAC	„მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო“
GIOC	საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
GOGC	საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
გონორეა	სქესობრივი გზით გადამდები დაავადება, რომელსაც იწვევს ბაქტერია *Neisseria gonorrhoeae*; იგი ვითარდება და მრავლდება რეპროდუქციულ ორგანოების თბილ, ტენიან უბნებში როგორებიცაა საშვილოსნოს ყელი, საშვილოსნო და ფალოპის მილები ქალებში, და ურეთრა (შარდსადინარი) ქალებსა და მამაკაცებში. ბაქტერია შეიძლება ასევე განვითარდეს პირის ღრუში, ყელში, თვალებსა და ანუსში
GPS	გლობალური პოზიციონირების სისტემა
სრულიად ახალი წარმოება	აუთვისებელი უბანი, რომელზეც წარსულში რაიმე კომერციული პროექტი არ განხორციელებულა
საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჩამდინარე წყლები	ონკანების, აბაზანების, შხაპების და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ჩამდინარე წყლები
GRL	საქართველოს გადაშენების პირას და საფრთხეში მყოფ სახეობათა „წითელი ნუსხა“
GRP	ჯგუფისთვის რეკომენდებული პრაქტიკა (BP–ს სახელმძღვანელო დოკუმენტები)
ხევი	ხევი, რომლის განივი კვეთის ფართობი არის >1მ^2, ხოლო სიღრმე >30სმ
H&S	ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება
H_2S	გოგირდწყალბადი
ჰა	ჰექტარი: ფართობის მეტრული საზომი ერთეული, რომელიც 10,000 კვადრატული მეტრის ტოლია (100მ X 100მ)
ჰაბიტატი	არე ან გარემო, სადაც ორგანიზმი ან ეკოლოგიური თანასაზოგადოება როგორც წესი ცხოვრობს ან არსებობს

ტერმინი	განსაზღვრება
ჰაბიტატის ფრაგმენტაცია	პირდაპირი დანაკარგის და/ან შეშფოთების შედეგად ჰაბიტატის არის დანაწევრება მზარდი რაოდენობის მცირე ბლოკებად
მავნე ნივთიერებები	ნივთიერებები ან ნაერთები, რომელთა ჩასუნთქვა, ჩაყლაპვა ან კანში შეღწევა შესაძლოა გარკვეულწილად სახიფათო იყოს ჯანმრთელობისათვის
HDD	მიმართული ჰორიზონტალური ბურღვის მეთოდი: მიწის ქვეშ, წინასწარ განსაზღვრული საბურღი მიმართულების დამრეცი რკალის გასწვრივ მილების მონტაჟის მართვადი უტრანშეო მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება მიწის ზედაპირიდან მართვადი საბურღი მოწყობილობა და ხდება მინიმალური ზემოქმედება გარემომცველ არეზე
HDPE	მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი
ჰეპატიტი B	ღვიძლის გადამდები დაავადება, რომელიც გამოწვეულია ჰეპატიტი B-ს ვირუსის ინფექციით. ჰეპატიტი B ვითარდება მაშინ, როცა სისხლი, სპერმატოზოიდები ან ორგანიზმის სხვა თხევადი გამონაყოფი შეაღწევს არაინფიცირებულ ორგანიზმში
HGA	ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან
HGV	მძიმე ტვირთების გადასაზიდი სატვირთო მანქანა
HH	შინამეურნეობა
HIA	ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება
ძლიერ აალებადი	თხევადი ნივთიერება ან ნაერთი, რომელიც აალდება 21^{0}C-ზე ნაკლებ ტემპერატურაზე (უკიდურესად აალებადი თხევადი ნივთიერებების ჩათვლით); ნივთიერებები და ნაერთები, რომლებიც ცხელდება და საბოლოოდ აალდება გარემომ ტემპერატურაზე, ჰაერთან კონტაქტით, ენერგიის წყაროს გამოყენების გარეშე; მყარი ნივთიერებები და ნაერთები, რომლებიც სწრაფად აალდება ცეცხლის წყაროსთან მცირე კონტაქტით და რომლებიც აგრძელებენ წვას ცეცხლის წყაროს მოცილების შემდგომაც; აირები და აიროვანი ნაერთები, რომლებიც აალდება ჰაერში ნორმალური წნევის პირობებში; და ნივთიერებები და ნაერთები, რომლებიც წყალთან ან ნოტიო ჰაერთან შეხებით გამოყოფენ ძლიერ აალებად აირებს სახიფათო რაოდენობებით
სთ	საათი
HIV	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
HSE	ჯანდაცვა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
HSSE	ჯანდაცვა, უსაფრთხოება, უშიშროება და გარემოს დაცვა
HT	მაღალი ძაბვა (ვარძიის ელექტროგადამცემ ხაზთან მიმართებით)
HVAC	გათბობის, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიცირების სისტემა

ტერმინი	განსაზღვრება
ნახშირწყალბადი	ორგანული ნაერთები, რომლებიც მთლიანად შედგება წყალბადისა და ნახშირბადისგან, ისეთი ნივთიერებების ჩათვლით, როგორიცაა ნედლი ნავთობი, ბუნებრივი გაზი და სხვ.
ჰიდროტესტი	პროცესი, როცა მილსადენი შევსებულია წნევის ქვეშ მყოფი წყალშემცველი ხსნარით, სისტემის ჰერმეტულობის შესამოწმებლად
ჰიპერტენზია	ჩვეულებრივზე მაღალი სისხლის წნევა. მაღალი სისხლის წნევა გულის დაავადების, ინსულტის, გულის უკმარისობისა და თირკმელების დაავადების უმთავრესი რისკ-ფაქტორია.
IAQM	ჰაერის ხარისხის მართვის ინსტიტუტი
ICSS	მართვისა და უსაფრთხოების ინტეგრირებული სისტემა
IDP	ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირი. პირი, რომელიც იძულებით გადაადგილებულია კონფლიქტის ან სტიქიური უბედურების გამო, თუმცა არ დაუტოვებია ქვეყნის ფარგლები
IEMA	ბუნებრივი გარემოს მართვის და შეფასების ინსტიტუტი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია – მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილი, რომელიც გასცემს სესხებს კერძო სექტორში
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები
IGA	სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IMT	ინციდენტების მართვის ჯგუფი
ზემოქმედება/ეფექტი	პროექტის ნებისმიერი ასპექტი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზემოქმედება; მაგალითად, მიწის გაწმენდა მშენებლობის დროს არის ზემოქმედება, მაშინ როცა შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს ველური ბუნების ჰაბიტატის დაკარგვა ან ფრაგმენტაცია
არაპირდაპირი ემისიები	CO_{2eq} ემისიები, რომლებიც წარმოიშობა მესამე მხარის წყაროდან ორთქლის, ელექტროენერგიის და სითბოს იმპორტის შედეგად
ინფექციური	ნივთიერებები, რომლებიც შეიცავენ სიცოცხლისუნარიან მიკრო-ორგანიზმებს ან მათ ტოქსინებს, რომელთა შესახებ არის დადასტურებული ან სარწმუნო ინფორმაცია, რომ ისინი იწვევენ ადამიანებისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების დასნებოვნებას
იმიგრაცია და ემიგრაცია	მოსახლეობის გადაადგილება დასახლებებს ან რეგიონებს შორის
IPLOCA	International Pipeline and Offshore Contractors Association (მილსადენისა და ოფშორული კონტრაქტორების საერთაშორისო ასოციაცია)
გამღიაზიანებელი ნივთიერებები	არაკოროზიული ნივთიერებები და ნაერთები, რომელთაც მყისიერი, ხანგრძლივი ან განმეორებითი შეხებით კანთან ან ლორწოვან მემბრანასთან შეუძლიათ გამოიწვიონ ანთება
ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

ტერმინი	განსაზღვრება
ITT	ტენდერზე მიწვევა
IUCN	ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი
სარწყავი არხი	წყლის მართვის სისტემა, რომელიც წყლით ამარაგებს დასახლებებს ან სარწყავ სისტემებს
წაბლა ნიადაგი	ჰუმუსით მდიდარი ნიადაგები, რომლებიც თავდაპირველად დაფარული იყო ადრეული ვეგეტაციის ბუნებრივი მდელოებით, რომელიც ქმნის დამახასიათებელი ყავისფერი ფერის ზედაპირულ ფენას
კგ	კილოგრამები
კგ/მ^3	კილოგრამები კუბურ მეტრში
კმ	კილომეტრი
კმ^2	კვადრატული კილომეტრის აღმნიშვნელი მეტრული სიმბოლო
KPIs	ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები
KPs (კმნ)	კილომეტრ-ნიშნულები
kV	კილოვოლტი
ლ/წმ	ლიტრები წამში
LACF	მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის ჩარჩო დოკუმენტი
L_{Aeq}	ბგერის უწყვეტი წნევის ეკვივალენტი, გამოხატული წონით, საშუალო მნიშვნელობები ადამიანის ყურისთვის აღქმადი მერყევი ხმაურის წყაროების წარმოსადგენად
LDS	გაჟონვის დეტექციის სისტემა
მიწის შეძენა	გლეხის ან ნებისმიერი სხვა მიწათმოსარგებლის (მაგ., მესაქონლეები, ადამიანები, რომლებიც მიწაზე არსებულ მცენარეულობას საწვავის სახით იყენებენ) მიწა და მილსადენის ექსპლუატაციის დროს მიწათსარგებლობის შემდგომი შეზღუდვები
ფილტრატი	გამორეცხვის პროცესის შედეგად წარმოქმნილი სითხე, რომელიც როგორც წესი ჟონავს ნაგავსაყრელებიდან
ლეიშმანიოზი	დაავადების გადატანა ხდება პატარა მწერების - ფლებოტომუსების ნაკბენით. ლეიშმანიოზის გამომწვევი ბევრი სახეობა აინფიცირებს როგორც ცხოველებს, ისე ადამიანებს. განასხვავებენ ორ უმთავრეს ლეიშმანიოზს - კანისა და ვისცერულს, რომლებიც გამოწვეულია ლეიშმანიის 20-ზე მეტი სახეობით. კანის ლეიშმანიოზი დაავადების უფრო გავრცელებული ფორმაა, იგი იწვევს წყლულებს კანზე. ვისცერული ლეიშმანიოზი იწვევს მწვავე სისტემურ დაავადებას, რომელიც მკურნალობის ჩაუტარებლობის შემთხვევაში ფატალური შედეგით მთავრდება
მილსადენის ხაზოვანი ნაწილი	მილის მონაკვეთები, რომლებიც შეიძლება ერთად იქნას შედუღებული და შექმნას მილსადენი
ქვის	შედგება ან დაკავშირებულია ქვებთან ან ქანებთან
LOD	დეტექციის ლიმიტი
LOMS	ადგილობრივი საოპერაციო მართვის სისტემა

ტერმინი	განსაზღვრება
მ	მეტრის აღმნიშვნელი მეტრული სიმბოლო, სიგრძის SI საზომი
$მ^2$	კვადრატული მეტრის აღმნიშვნელი მეტრული სიმბოლო, სიგრძის SI საზომი
$მ^3$	კუბური მეტრის აღმნიშვნელი მეტრული სიმბოლო, სიგრძის SI საზომი
სიძლიერე (ზემოქმედების)	საზომი, რამდენაც უარყოფითი ან სასარგებლო შეიძლება იყოს ზემოქმედება
მალარია	პარაზიტული დაავადება, რომელიც კოღოს გადააქვს. მალარიით დაავადებულ ადამიანებს ხშირად აქვთ სიცხე, ციება და გრიპისმაგვარი ავადმყოფობა. მკურნალობის გარეშე, დაავადება მწვავდება და იგი ავადმყოფის სიკვდილს იწვევს
MAOP	მაქსიმალური დასაშვები საექსპლუატაციო წნევა
მბ	მილიბარი
MCC	ხელით შესავსები საკლასიფიკაციო ფურცლები
MDG	Millennium Development Goal (ათასწლეულის განვითარების მიზანი)
MDL	მეთოდის აღმოჩენის ზღვარი
MENR	გარემოს და ბუნებრივი რესურების დაცვის სამინისტრო
მეზოფილური	ორგანიზმი, რომელიც ყველაზე კარგად ვითარდება ზომიერი ტემპერატურის პირობებში, ჩვეულებრივ, 15°C -სა და 40°C-ს შორის
მკგ/ლ	მიკროგრამები ერთ ლიტრში
მგ/ლ	მილიგრამები ერთ ლიტრში
$მგ^{-3}$	მილიგრამები კუბურ მეტრში
მიკროტუნელირება	მცირე ტუნელების მშენებლობის მეთოდი. ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოიყენება დისტანციურად მართვადი მიკროტუნელის საბურღი მანქანა მილების ჰიდროდომკრატით მონტაჟის მეთოდთან ერთად, მილსადენის პირდაპირ მიწაში ერთჯერადი გავლით მონტაჟის უზრუნველსაყოფად
წთ	წუთები
შერბილება	ქმედებები, რომლებიც განხორციელდება პროექტის გადაწყვეტილებით, იმ ზემოქმედებების თავიდან აცილების, აღმოფხვრის, შემცირების ან კომპენსირებისთვის, რომლებიც იდენტიფიცირებული იქნა სკრინინგის დროს და შემდგომ გაანალიზდა ზემოქმედების შეფასებისას. შემარბილებელი ღონისძიებები შეიძლება შეეხოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ჯანმრთელობაზე და სხვა ზემოქმედებებს
მლ	მილილიტრები
მმ	მილიმეტრი
მმ/თვე	მილიმეტრები ერთ თვეში
მ/წმ	მეტრები ერთ წამში
MoC	კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
MoENR	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MoESD	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ტერმინი	განსაზღვრება
MoLHSA	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მპა	მეგაპასკალი
MPI	მაგნიტოსკოპია: რკინის მსგავსი ფეროელექტრული მასალების ზედაპირზე და ზედაპირის ოდნავ ქვეშ არსებული ოდნავი წყვეტებისა აღმოჩენის არადამაზიანებელი ტესტირების პროცესი
MRI	მაგნიტური რეზონანსის გამოსახულება
MSDS	მასალების უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი
NCD	არაგადამდები დაავადება
მგვტ	მეგავატი, სიმძლავრის ერთეული სისტემაში, რომელიც ერთი მილიონი ვატის ექვივალენტურია
MWth	სითბური ენერგიის მეგავატი
NCDC	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
NCER	ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია
NCR	შეუსაბამობის ანგარიშები
NDT	არადამაზიანებელი ტესტირება: სხვადასხვა ტესტი, რომელიც გამოიყენება მილის მთლიანობის შესამოწმებლად და ამავდროულად არ აზიანებს მილს. ეს ტესტები მოიცავს ულტრაბგერით ტესტირებას, მაგნიტური ნაწილაკებით ტესტირების მეთოდს და შეღწევადი საღებავებით კონტროლს
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NH_4	ამონიუმი
NO_2	აზოტის დიოქსიდი
NO_3	ნიტრატი
NO_x	აზოტის ოქსიდები
NPK	აზოტი, ფოსფორი და კალიუმი
NTU	სიმღვრივის ნეფელომეტრული ერთეულები
OMS	ექსპლუატაციისმართვის სისტემა
ღია გათხრა	მდინარის გადაკვეთის ხერხი, რომელიც გამოიყენება მილსადენის მშენებლობისას, მაშნ როცა თხრილი კვეთს მდინარის კალაპოტს
OSRP	ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა
PAC	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს გარკვეულ დასახლებაში(ESIA-ს მიზნებისთვის, დასახლებად მიიჩნევა მუდმივად, დროებით ან დროგამოშვებით დასახლებული პუნქტი, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია რუკებიდან, სატელიტური გამოსახულებებიდან ან საჰაერო ფოტოებიდან და რომელიც, როგორც მინიმუმ, ხუთ საცხოვრებელ შენობას აერთიანებს). პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობად მიიჩნევა ის ჯგუფები, რომელთა დასახლების ადგილი მოქცეულია მკაფიო საზღვრებში (მაგ., განსაზღვრულ მანძილზე SCPX პროექტის ობიექტებიდან) და აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს

ტერმინი	განსაზღვრება
გრუნტის მილსადენის თხრილში	ერთგვაროვანი ნიადაგი და ღორღი თხრილის ძირზე, მილსადენის გარსის დაზიანების საფრთხის მინიმუმამდე შემცირებისთვის მილის თხრილში ჩადებისას
PAH	პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები
გავრცელების გზა	კავშირი, ან კავშირების სერია, რომელიც აკავშირებს დამაბინძურებელს რეცეპტორთან
PCDP	საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა
PHAST	ტექნოლოგიური პროცესის საფრთხეების ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა: პროგრამული უზრუნველყოფა გაზის გაჟონვის შედეგების მოდელირებისთვის
pig	მილსადენის დგუში (მილსადენის შიგნიდან გაწმენდის ხელსაწყო)
დგუშის გამშვები	მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება დგუშის სადგურზე დგუშის მილში ჩასასმელად
დგუშის სადგური	მილსადენის ობიექტი, რომელიც გამოიყენება დგუშის ჰერმეტულ მილსადენში ჩასასმელად ან ამოსაღებად
მილების შესანახი ადგილი და მილების სასაწყობე ეზო	ადგილი, რომელიც გამოიყენება ტრანსპორტირებამდე მილების დანიშნულებისამებრ შესანახად
მილების ჩაწყობა	მილების ბოლოებით ერთმანეთთან მიწყობა მილსადენის გასხვისების დერეფანის გასწვრივ და ჩაშვების/ჩაწყობისთვის მომზადება
პარალელური მილსადენი	მილსადენი, რომელიც მეორე მილსადენის პარალელურია; ორივე მილსადენი მარაგდება ერთი და იმავე წყაროდან და გადააქვს პროდუქტი ერთსა და იმავე დანიშნულების ადგილამდე
PIMS	მილსადენის მთლიანობის მართვის სისტემა
PM_{10}	მყარი ნაწილაკი, რომლის აეროდინამიკური დიამეტრი 10 მიკრონი ან ნაკლებია
PPV	რხევის მაქსიმალური სიჩქარე
PRCI	მილსადენის კვლევის საერთაშორისო საბჭო
PRMS	წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგური
პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები	პირები, რომლებზეც ზემოქმედებას ახდენს პროექტთან დაკავშირებული საქმიანობები
პროექტის ინვესტორი	შესაბამისი პირი, რომელიც წარმოადგენს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების მხარეს (არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მონაწილე შესაბამისი ქვეყნის მთავრობას, ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობის სტატუსით), ოპერატორი კომპანია SCPX პროექტთან მიმართებით, რომელიც დანიშნულია ასეთი მხარის მიერ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, და ზემოთ ნახსენები პირის ნებისმიერი სამართალმემკვიდრე ან უფლებამოსილი წარმომადგენელი. "პროექტის ინვესტორებს" მიეკუთვნებიან: (i) იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი იურიდიული ქვედანაყოფები,

ტერმინი	განსაზღვრება
	როგორებიცაა ფილიალი, ოფისი და მუდმივი დაწესებულება, ან აფილირებული პირი, რომელიც მოქმედებს ამ იურდიული პირის ან მისი ქვედანაყოფების სახელით, და (ii) მინდობილობის მქონე პირი, აგენტი ამ წარმომადგენელი, რომელიც მოქმედებს ამ პირის ან მისი ქვედანაყოფების სახელით.
შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთები	პარალელური მილსადენის ორი მონაკვეთი საქართველოში, რომლებიც დამატებითაა შემოთავაზებული მილსადენის იმ მონაკვეთისთვის, რომლისთვისაც მომზადდა SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიში
შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი	შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთი SCPX კმნ 56.6-62.3 შორის
შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი	შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთი PRMS კმნ 0-2.5 შორის
დაცული ტერიტორია	დაცული ტერიტორია, რომელიც ოფიციალურად შექმნილია კანონით „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ (11 მარტი, 2011 წ.)
დაცული სახეობა	სახეობა, რომელიც IUCN–ის მიერ განსაზღვრულია როგორც მოწყვლადი, საფრთხეში მყოფი და კრიტიკულ საფრთხეში მყოფი, სახეობა, რომელიც შეტანილია CITES–ში და სახეობა, რომელიც შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში (საქართველოს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ კანონის შესაბამისად, 2003)
PSG	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საქაჩი სადგური, საქართველო
პროექტისთვის განკუთვნილი ბეტონის შერევის/დოზირების საამქრო	ბეტონის შერევის/დოზირების საამქროები, რომლებიც დამონტაჟებულია კონტრაქტორებისა ან ქვეკონტრაქტორების მიერ კონკრეტულად SCPX პროექტის საჭიროებისათვის.
QRA	რაოდენობრივი რისკის შეფასება
ცოფი	ძუძუმწოვართა თავიდან აცილებადი ვირუსული დაავადება, რომელიც ყველაზე ხშირად ცოფიანი ცხოველის კბენით გადადის. ცოფის ვირუსი აინფიცირებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, საბოლოოდ იწვევს ტვინის დაზიანებას და სიკვდილს
ფოცხით მოსწორება	წვეტებით ან კბილანებით აღჭურვილი ინსტრუმენტის გატარება ნიადაგზე შეწებებული მიწის ბელტების დასაშლელად
RAP	გადასახლების სამოქმედო გეგმა
რეცეპტორი	ადგილი (მაგ., ჰაბიტატი, დასახლება, მდინარე), რომელზეც პროექტმა შესაძლოა მოახდინოს სპეციფიკური უარყოფითი ზემოქმედება

ტერმინი	განსაზღვრება
ლტოლვილი	ადამიანი, რომელიც კონფლიქტის ან სტიქიური უბედურების გამო იძულებით გადაადგილებულია, გადაკვეთილი აქვს საცხოვრებელი ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები და დატოვებული აქვს ეს ქვეყანა
კომპლექსური აღდგენა	მილსადენის გაყვანის შემდგომ ტერიტორიის აღდგენა პირვანდელ სახემდე (მოიცავს ანტიეროზიული ღონისძიებების გატარებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაბრუნებას პირვანდელ მდგომარეობაში, მიწის ზედაპირის სამუშაოებს, ბარიერების დამონტაჟებას და წინასწარ შეთესვას ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელიც მილსადენისა და მილსადენის ობიექტების მშენებლობის პროცესში იქნება გამოყენებული). *შენიშვნა. ამ განსაზღვრებაში არ არის შესული კონტრაქტით საგარანტიო მომსახურების პერიოდის შემდგომ მცენარეული საფარის და სახეობრივი მრავალფეროვნების აღდგენა (იხ. ბიოაღდგენა).*
ნარჩენი ზემოქმედება	ზემოქმედება, რომელიც რჩება შემარბილებელი ღონისძიებების შემდეგ
ნაკადული	არხი, რომლის განივი კვეთის ფართობი არის <1მ^2, ხოლო სიღრმე <30სმ
ქვაყრილი	ქვები, ან სხვა მასალა, რომლებიც გამოყენებულია მდინარეთა ნაპირების ეროზიისგან დასაცავად
გაფხვიერება	ნიადაგის დატკეპნის შერბილების პროცესი, ნიადაგზე მექანიკურად მოქმედი კბილანების გატარებით
ROW	სამშენებლო დერეფანი/გასხვისების დერეფანი; მიწის ზოლი მილსადენზე ან მის გარშემო, რომელზეც ოპერატორს აქვს მშენებლობის, ექსპლუატაციის და/ან მილსადენის შეკეთების უფლება
RSK	RSK Group plc; გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია
RTA	ავტოსაგზაო შემთხვევები
ჩამონადენი	წყლის დინება (ძირითადად გამოწვეული წვიმის წყლით) ფერდობის მიწის ზედაპირზე
ორაგულისებრნი (თევზი)	წაგრძელებული ფორმის ძვლიანი თევზების ოჯახი, რომლებსაც ხერხემლის ბოლო სამი მალა აწეული აქვს
SCP	სამხრეთ კავკასიური მილსადენი
SCPC	სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანია
SCP ESIA	სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საბოლოო ვარიანტი, ნოემბერი, 2002; დამტკიცებულია 2002 წლის დეკემბერში
SCPX	სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი
SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიში	SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიში, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცდა 2013 წლის ივნისში

ტერმინი	განსაზღვრება
SCPX პროექტის მონაწილეები	ნებისმიერი ერთი, ერთზე მეტი ან ყველა ხელშეკრულების მხარე (SCPX პროექტის მონაწილეების ჩათვლით, რომლებიც განისაზღვრება ნებისმიერი საპროექტო ხელშეკრულების ნოვაციითა და/ან დანამატით), გარდა სახელმწიფო ორგანოებისა, და ან ზემოთ ჩამოთვლილი მხარეების ნებისმიერი სამართალმემკვიდრე ან უფლებამოსილი წარმომადგენელი
SD1 და SD2	შაჰ დენიზი ეტაპი 1 და შაჰ დენიზი ეტაპი 2
SDH	ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები
შეთესვა	საწყისი შეთესვა ეროზიის მე-3 კლასის მაჩვენებლის მისაღწევად, ასევე მცენარეული საფარის აღსადგენად და საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ არსებულ ტერიტორიებთან ვიზუალური მსგავსების მისაღწევად, კონტრაქტით საგარანტიო მომსახურეობის პერიოდის განმავლობაში
სენსიტიური ზონა	პროექტის მიერ განსაზღვრული ტერმინი, რომელიც გულისხმობს გასხვისების დერეფნის გასწვრივ არსებულ მაღალი დონის გარემოსდაცვითი მნიშვნელობის ტერიტორიებს სენსიტიური მცენარეულობისა და/ან ფაუნის სახეობების არსებობის გამო (საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი, IUCN-ის მოწყვლადი კატეგორიის, კავკასიის ენდემური და CITES-ის სახეობების ჩათვლით). ეს ტერმინი გამოიყენება მხოლოდ SCPX პროექტთან მიმართებით და იგი არ შეესაბამება სხვა ეროვნულ ან საერთაშორისო განსაზღვრებას.
სენსიტიურობა	უარყოფითი ზემოქმედებებისადმი ფარდობითი მგრძნობელობა
შიბლიაკი	აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთის ჰემიქსეროფილური ფოთოლმცვივანიბუჩქნარი
SI	ერთეულთა საერთაშორისი სისტემა: საზომ ერთეულთა მეტრული სისტემა
გვერდითი გადმოტვირთვა	ნაყარი გრუნტის დაყრა ან განთავსება განსაზღვრული გასხვისების დერეფნის ან სამუშაო ფართობის გვერდით, და მის გარეთ
მნიშვნელობა (ზემოქმედების)	ზემოქმედების შესაძლო მნიშვნელობების კლასიფიკაცია, რომელიც დამყარებულია ზემოქმედების პოტენციურ სიძლიერესა და ალბათობაზე და/ან ზემოქმედების ქვეშ მყოფი რეცეპტორის სენსიტიურობაზე
SMEs	მცირე და საშუალო საწარმოები
SO_2	გოგირდის დიოქსიდები
SOCAR	აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანია
ნიადაგის ეროზიის კლასი	ნიადაგის ეროზიის პოტენციალის სიძლიერის კატეგორიზაცია
SoW	სამუშაოს მოცულობა
SO_x	გოგირდის ოქსიდები
SpC	კუთრი გამტარობა

ტერმინი	განსაზღვრება
SPPD	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი
ნაყარი გრუნტი	გათხრების შედეგად ამოღებული მასალა
გავრცელება	მთლიანი პერსონალი და აღჭურვილობა, რომლებიც საჭიროა მშენებლობის ყველა ეტაპის განსახორციელებლად
SRA	სოციალური რისკის შეფასება
დაინტერესებული მხარე	ფიზიკური პირი, ორგანიზაცია ან სხვა იურიდიული პირი, რომელსაც აქვს კანონიერი ინტერესი შემოთავაზებული პროექტის მიმართ და აქვს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს მის მდებარეობაზე, პროექტის გეგმასა და დამტკიცების პროცესზე
STD/STI	სქესობრივი გზით გადამდები დაავადება/ინფექცია
STP	ჩამდინარე წყლების დამუშავების სისტემა
ინსულტი	ინსულტი ვითარდება მაშინ, როცა თრომბი ბლოკავს ტვინისთვის სისხლის მიწოდებას ან როცა ადგილი აქვს სისხლჩაქცევას ტვინში. ინსულტის რისკის მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელია ცხოვრების სტილის შეცვლით ან, ზოგ შემთხვევაში, მკურნალობით
ნიადაგის ქვედა ფენა	ნიადაგის ქვედა ფენა ან ფენები განვითარებულია ნიადაგის ზედა ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ; იგი უნაყოფოა და, ჩვეულებრივ (მაგრამ არა ყოველთვის) ჰუმუსოვანი ფენისგან განსხვავებული ტექსტურითა და ფერით ხასიათდება
SUDS	დრენაჟის ურბანული მდგრადი სისტემა: მართვის პრაქტიკები და საკონტროლო სტრუქტურები, რომლებიც გამიზნულია ზედაპური წყლის მდგრადი წესით დრენაჯისთვის
სიფილისი (ათაშანგი)	სქესობრივი გზით გადამდები დაავადება, რომელსაც იწვევს ბაქტერია *Treponema pallidum*. სიფილისი ერთი პირიდან მეორე პირს გადაეცემა სიფილისით დაზიანებულ კერასთან პირდაპირი კონტაქტით. გენიტალიების სიფილისით გამოწვეული წყლულები აადვილებს სქესობრივი გზით აივ ინფექციის გადაცემას და დაინფიცირებას. ნავარაუდევია, რომ აივ დაინფიცირების რისკი ორმაგიდან ხუთმაგამდე არის გაზრდილი, სიფილისთ უკვე დაინფიცირებულ პირებში.
TANAP	ტრანს-ანატოლიური გაზსადენი
TAP	ტრანს ადრიატიკის მილსადენი
TB	ტუბერკულოზი დაავადებაა, რომელსაც იწვევს ბაქტერია *Mycobacterium tuberculosis*. ბაქტერია ჩვეულებრივ აზიანებს ფილტვებს, თუმცა ტუბერკულოზის ბაქტერიას შეუძლია შეაღწიოს სხეულის სხვა ნაწილებში, კერძოდ, თირკმელებში, ხერხემალში ან ტვინში. სათანადო მკურნალობის გარეშე, ტუბერკულოზით დაავადებამ შეიძლება ავადმყოფის სიკვდილი გამოიწვიოს
TBM	გვირაბის გამყვანი დანადგარი
TDS	მთლიანი გახსნილი მყარი ნივთიერებები: წყალში გახსნილი არაორგანული მარილების (და ორგანული ნაერთების) საზომი

ტერმინი	განსაზღვრება
ტერიტორიული ორგანო	ადგილობრივი მმართველობის ადმინისტრაციულ იერარქიაში ყველაზე დაბალი რგოლი
THC	მთლიანი ნახშირწყალბადები
მესამე მხარე	კერძო პირი, საწარმო ან სახელმწიფო ორგანიზაცია, ანუ ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია, რომელიც არ წარმოადგენს კლიენტ კომპანიას ან კონტრაქტორს
მესამე მხარის ობიექტი	ობიექტი, რომელსაც ფლობს და ექსპლუატაციას უწევს მესამე მხარის ორგანიზაცია
მესამე მხარის მიწა	მიწის ფართობი გასხვისების დერეფნისა და სხვა საპროექტო ტერიტორიების (პროექტის სამშენებლო სამუშაოების დროებითი ტერიტორიები ან მუდმივმოქმედი ობიექტები) გარეთ
მოფოცხვა	იხ. 'ფოცხით მოსწორება'
ნიადაგის ზედა ფენა	ნიადაგის ზედა ფენა წარმოადგენს ზედაპირზე არსებულ ნიადაგის ფენას, რომელიც ვარგისია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ან ბუნებრივი მცენარეულობის ზრდისთვის
ToR	ტექნიკური დავალება
ტოქსიკური	ნივთიერებები ან ნაერთები (ძლიერ ტოქსიკური მასალებისა და ნაერთების ჩათვლით), რომლებმაც შესუნთქვისას ან მიღებისას, ან კანში შეღწევისას შეიძლება გამოიწვიონ ჯანმრთელობის სერიოზული, მწვავე ან ქრონიკული რისკები ან სიკვდილიც კი
TPAO	Türkiye Petrolleri Anonim Ortaklığı
ტოქსიკურობა	მასალისთვის დამახასიათებელი პოტენციალი ან უნარი გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა ცოცხალ ორგანიზმზე
TPH	ნავთობის ნახშირწყალბადების საერთო შემცველობა: ტერმინი გამოიყენება ნებისმიერი ნახშირწყალბადის საზომად მოცემულ სინჯში (მაგ.: ნიადაგი ან წყალი)
ტრანსსასაზღვრო	რაიმე, რაც კვეთს საზღვრებს
ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	ნებისმიერი ზემოქმედება, არ არის აუცილებელი გლობალური ხასიათის, რომელიც განხორციელდა მხარის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ფარგლებში, მაშინ როცა ზემოქმედების წყარო ფიზიკურად სრულად ან ნაწილობრივ მდებარეობს სხვა მხარის იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე
დამუშავება (წყლის)	წყლის ხარისხის გაუმჯობესება ფიზიკური, ქიმიური და/ან ბიოლოგიური საშალებებით
თხრილი	გრძელი, წვრილი მიწაში ამოთხრილი არხი, შემოსაზღვრული თავისივე ნიადაგით, რომელიც გამოიყენება მილის დაფარვისა და დაცვისთვის. თხრილები როგორც წესი ითხრება ექსკავატორის ან სხვა სპეციალიზირებული სათხრელი დანადგარის საშუალებით
TSS	მთლიანი შეწონილი ნაწილაკები: წყალში სუსპენდირებული მყარი ნაწილაკების საზომი, რომელიც გამოიყენება, როგორც წყლის ხარისხის გასაზომად

ტერმინი	განსაზღვრება
ტულარემია	დაავადება, რომელსაც იწვევს ბაქტერია *Francisella tularensis*. ტულარემია ჩვეულებრივ ცხოველების დაავადებაა, იგი განსაკუთრებით ხშირია მღრნელებში, ბოცვრებსა და კურდღლებში. ჩვეულებრივ, ადამიანები ინფიცირდებიან დაინფიცირებული მწერის (ყველაზე ხშირად, ტკიპების და ირმის ბუზების) კბენის შედეგად, ინფიცირებულ ან მკვდარ ცხოველთან კონტაქტით, დაბინძურებული საჭმლის ან წყლის მიღებით, ან ჰაერიდან ბაქტერიის შესუნთქვით
ულტრაბგერითი ტესტირება	არადამაზიანებელი ტესტირების ხერხი, რომელიც იყენებს ულტრაბგერით ტალღებს მასალის შიგნით შიდა დინებების დეტექციისთვის
UNESCO	გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
UNFCCC	გაეროს ჩარჩო ხელშეკრულება კლიმატის ცვლილების შესახებ
UXO	აუფეთქებელი საბრძოლო მასალები
ინფექციური დაავადებები	გადამტანები წარმოადგენენ ორგანიზმებს, რომლებსაც დაავადებები გადააქვთ ერთი მიმღები ორგანიზმიდან მეორეზე. ფეხსახსრიანები წარმოადგენენ ყველაზე კარგად ცნობილ ბიოლოგიურ გადამტანებს
სატრანსპორტო საშუალება	მოიცავს სამგზავრო მანქანებს, სატვირთო მანქანებს, რელსებზე მოძრავ ან ბორბლებიან დანადგარებს და მოწყობილობებს
VL	ვისცერული ლეიშმანიოზი
VOC	აქროლადი ორგანული ნაერთები
VP-ები	უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების დაცვის ნებაყოფლობითი პრინციპები: UK და US მთავრობების, საერთაშორისო ამნისტიის, Human Rights Watch-ის, ასევე სხვა NGO-ების და რამდენიმე მოპოვებითი მრეწველობის დარგის კომპანიის მიერ შექმნილი 2000 წელს
VRD	ინფექციური დაავადებები
ვტ/მ^2	ვატები ერთ კვადრატულ მეტრზე
კედლის სისქე	მილის კედლის მასალის სისქე. სისქე წარმოადგენს სივცრით ზომას მილის შიდა ზედაპირსა და მილსადენის გარე ზედაპირის ყველაზე ახლო წერტილს შორის
ნარჩენები	მასალები, რომლებიც გამომუშავდება ექსპლუატაციის სამუშაოების პროცესში და რომელთაც არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა ან ღირებულება იმ პროცესისთვის, რომელიც მათ გამოიმუშავებს
ნარჩენების წარმომქმნელ(ებ)ი	მთელი პერსონალი, ყველა დანადგარი და პროცესი, რომლებიც შეადგენს SCPX პროექტს (კომპანიის, კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორების ჩათვლით)

ტერმინი	განსაზღვრება
ნარჩენების მინიმიზაცია	მართვის პროცესი, რომლის მეშვეობით მიიღწევა ინგრედიენტებისა და მოხმარებული მასალების გამოყენება გაზრდილი ეფექტურობით, რის შედეგად ადგილი აქვს წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის შემცირებას. იგი ასევე მოიცავს მასალების რაციონალურად დასაწყობებასა და დამუშავებას, რათა მოხდეს დაღვრითა და გაჟონვით გამოწვეული დანაკარგის პრევენცია
WBG	მსოფლიო ბანკის ჯგუფი
ჭარბტენიანი ტერიტორია	წყლით გაჯერებული მიწა (მაგ., ჭაობი), რომელიც შეიძლება იყოს სეზონური ხასიათის
WFD	წყალთან დაკავშირებული ჩარჩო ინსტრუქცია
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
WHR	ნარჩენების სითბური აღდგენა
სამუშაო ტერიტორია	ტერიტორია, რომელზე განხორციელდა ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა სამშენებლო მიზნებისთვის
სამუშაო სიგანე	ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს მილსადენის მშენებლობა, ნიადაგის ზედა და ქვედა ფენების შენახვის ჩათვლით
WPCA	ველური მცენარეების კონსერვაციის ასოციაცია
WREP	დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი
WREP-SR პროექტი	დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტი
WSA	ნარჩენების შენახვის ადგილი - ტერიტორია, რომელიც დაპროექტდა და მოეწყო ნარჩენების დაგროვების, დასაწყობების, სეგრეგაციის, დამუშავების და ტრანსპორტირების მიზნით
Yersinia pestis	შავი ჭირი ცხოველებისა და ადამიანის ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ბაქტერია *Yersinia pestis*. ადამიანები ჩვეულებრივ ავადდებიან მღრნელების, რწყილის კბენის შედეგად, რომელსაც გადააქვს შავი ჭირის ბაქტერია, ან დაინფიცირებულ ცხოველთან კონტაქტის შედეგად
ზოონოზური დაავადებები	დაავადებები, რომლებიც ინფექციის გადამტანების მეშვეობით შეიძლება ცხოველიდან ადამიანზე გავრცელდეს